№ 7
ხუთშაბათი
3 სექტემბერი
1909 წ.

მომავალი

№ 7
ხუთშაბათი
3 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ
3 თვით—2 მან. 50 კაპ.
1 „ — — 90 „

თფილისში
3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ-დღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შეხახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფიდოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა,

ექ. გ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ზ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—52

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ქ. ქუთაისში
თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—19)

იყიდება

საკანდიტერო თავისი მოწყობილობით.
სირაჯხანის ქ., № 29.
(3—3) **მიხეილ ნანობაშვილი.**

ქირავდება

ერთი ოთახი ავეჯეულობით და სადილით. იქვე იძლევა **შინაური სადილი.** მიხაილოვის ქუჩა, ბინა 102 (რიჩჩის პირდაპირ). (3—3)

ივ. კარუხოვი

გადავიდა, ბელინსკის ქუჩ. № 18.

С. и Θ. Грязновы готовятъ учениковъ въ среднія учебныя заведенія.

Имѣются группы, готовящихся въ 4, 5 и 6 классъ гимназіи.

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8.

ტფილისი, 3 სექტემბერი.

რუსეთს დღემდის ვერ დაუხწევია თავი სხვადასხვა გვარ განსაკუთრებულ წესებისგან: ერთ ნაწილში სამხედრო წესებია, მეორეში განსაკუთრებული და მესამეში გაძლიერებული დაცვა. ბევრ გულუბრყვილო ადამიანს ეგონა, რომ სახელმწიფო დუმა, სხვას თუ არაფერს გააკეთებდა, ამ განსაკუთრებულ წესებს მაინც მოსპობდა და სახელმწიფოს ცხოვრების მიმდინარეობას მართველობის ნორმალურ პირობებში ჩააყენებდა. ეხლა კი, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, თუ რამდენათ უსაფუძვლო იყო ასეთი ფიქრი. ამ დღეებში სატახტო გაზეთებმა გადმოგვცა იმ მოხსენების შინაარსი, რომელიც წინ მიუძღვის მთავრობისგან დუმაში წარდგენილ და დუმის არჩეულ კომისიისგან შესწორებულ-შევსებულ კანონ-პროექტს შესახებ განსაკუთრებულ წესისა. ნურავინ წარმოიდგენს იმას, რომ დუმის კომისიამ მთავრობის კანონ-პროექტი შეასწორა იმ მხრით, რომ სისასტიკე და სიმკაცრე ზოგიერთი მუხლებისა მოსპო და უფრო ზომიერათ გადააკეთა, პირიქით, მან დატოვა ყოველივე ის, რაც მთავრობამ წარადგინა და კიდევ დაუმატა. მერე რა მოსაზრებით? „რაც უფრო მეტი განსხვავებაა ჩვეულებრივ და განსაკუთრებულ კანონებს შორის, მით უფრო უკანასკნელნი საგრძნობელი ხდებიან, მით უფრო წინდახედულათ მიმართავენ მათ, სამაგიეროთ, მათი ზედმოქმედება მით უფრო ძლიერია. მცხოვრებლები უნდა დარწმუნებულნი იყვენ, რომ განსაკუთრებული ზომების მოქმედების დროს სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების და საზოგადოებრივ მყუდროების დარღვევას მოყვება სწრაფი და სასტიკი სასჯელი, ასეთი წარმოდგენა ხანდახან საუკეთესო საშუალებაა უწესოების თავიდან ასაცილებლათ“ დუმის ხელმძღვანელ უმრავლესობას — ოქტომბრისტებს ავიწყდებათ, რომ ყოველგვარი მასსიური „უწესობანი“ ჩვეულებრივათ ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკური ზედაშენი არ აკმაყოფილებს იმ სოციალურ ცვლილებებს, რაც ცხოვრებაში მოხდა და რომელმაც უსათუოთ უნდა გამოსავალი იპოვოს. თუ მმართველი წრეები დროზე აუღებენ ალღოს ცხოვრებას და შესაფერათ შეცვლიან პოლიტიკურ ცხოვრებას, მაშინ მასსიური მღელვარება კმაყოფილდება საზოგადოებრივი აზრის გამომუშავებაში და მთავრობის მიერ ამის დამორჩილებაში. როდესაც ეს ასე არ ხდება, უმეტეს შემთხვევაში კი ეს ასეა, მაშინ ვერავითარი განსაკუთრებული წესები, ვერც სასჯელი, ვერ შეაჩერებს აღელვებული ცხოვრების ტალღების გადმოხეთქვას და ბოლოს, თვით განსაკუთრებული წესების შემთხვევლნი ხდებიან თავისავე კანონების ობიექტათ, თვით ისინი ისჯებიან მსგავსი კანონებით. დღემდის ოქტომბრისტების მოქმედება არ ამტკიცებს, რომ მომწიფებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს მათ ალღო აუღეს და ისინი დააკმაყოფილეს, ანდა მის დაკმაყოფილებას ცდილობენ. განსაკუთრებულ წესების შეთხზვაში და მის დაკანონებაში მათ მაცადინეობას საზღვარი არ უჩანს.

დუმის კომისიამ განსაკუთრებული წესის შემოღება საჭიროთ მიაჩნია არა მაშინ მარტო, როცა შინაური არეულობა უკვე თავს იჩენს, მაშინაც კი, როცა საფუძვლიანი შიში არსებობს ასეთის მოხდენაში. ასე რომ, საკმარისი იქნება რომელიმე გუბერნატორმა მოხსენება წარადგინოს მინისტრთა საბჭოში, რომ არეულობა მოსალოდნელია, ქვეყნის დასამშვიდებლათ, მათი აზრით, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: სოფლათ „სტრაჟნიკების“ და ქალაქათ „გოროდოვოების“ გამრავლება, მაშინ ყველა სოციალური კითხვა ერთი კალმის მოსმით გადაწყდება. შეიძლება იკითხოთ, რას წარადგენენ გუბერნატორები მოსალოდნელ აღელვების დასამტკიცებლათ? განა არაა შესაძლებელი მძარცველ-ავაზაკების გაჩენა ამა თუ იმ გუბერნიაში, სხვადასხვა ჯურის შანტაჟისტ-ექსპროპრიაცია და სხ. აი საბუთი. გუბერნატორების ასეთ საბუთს მით უფრო მეტი გასავალი ექნება, რომ თვით კომისიამ მთავრობის კანონ-პროექტს მიუმატა მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ განსაკუთრებული წესის შემოღება საჭიროა მაშინაც, როცა ჩდება არაჩვეულებრივი დანაშაულობანი და მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა. მაშ ასე: სხვადასხვა განსაკუთრებული წესების მაგიერ მხოლოდ ერთი განსაკუთრებული წესი. ეს განსაკუთრებული წესი უნდა იყოს ყველა აწ არსებულზე უსასტიკესი და უსაშინელესი. ის უნდა შემოღებულ იქნეს არა მარტო მომხდარ არეულობის მოსასპობათ, არამედ მოსალოდნელის თავიდან ასაცილებლათაც. რადგანაც ოქტომბრისტები ხალხის მოთხოვნილებას არაფერში არ აკმაყოფილებენ:—გლეხებისთვის მიწები არ სურთ, კრებების და სიტყვის თავისუფლება ზედმეტ ბარგათ მიაჩნიათ, რასაკვირველია, არა თავისთვის და შავრაზმელებისთვის, კავშირების და ყოველგვარი ორგანიზაციების დაარსება მავნებლათ, პიროვნების ხელ-შეუხებლობა მხოლოდ ავაზაკთათვის და ნამდვილი მოქალაქისათვის კი მაგარ ხელშეხების კანონი, ასეთ პირობებში არეულობა მოსალოდნელია და მაშასადამე, განსაკუთრებული წესის მუდმივ მოვლენათ გადაქცევა აუცილებელი. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? სანამ ხალხის მომწიფებული მოთხოვნილებანი არ იქნება სავსებით დაკმაყოფილი. ამას კი, მხოლოდ გამარჯვებული ახალგაზდა რუსეთი შესძლებს.

* * *

ვისი ბრალია?

(გაგრძელება).

ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით, ვართ და ვიქნებით სამღვდელოების, როგორც წოდების. ამას მოითხოვს ჩვენი პროგრამაც, პლატფორმაც, ტაქტიკაც, პრაქტიკაც და თეორიაც; ამას არ გადავუხვევთ ჩვენ არც რეაქციის და არც რევოლიუციის დროს, არც დუმაში, არც ქუჩაში, არც სახლში და არც გარეთ —ცაზე გვედგმის ფეხი თუ მიწაზე—სულ ერთია. განსაკუთრებით საჭიროა სასტიკი ბრძოლა სამღვდელოებასთან საზოგადოთ რუსეთში დღეს, როცა იგი თავს აღწევს ბიუროკრატიის მონა-მორჩილებას და ხელქვეითობას და ლამობს შექმნას კლერიკალური პარტია, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პირში წყალს ჩავიყენებთ ანდა ვაშას ძახილს მოვრთავთ, როცა ხელთა გვაქვს მასალა და ცნობები ბარბაროსული მოქმედებისა და ათასგვარ ბოროტ-მოქმედებისა ჩვენი საეკლესიო საქმეების მართვა-გამგეობაში?

სრულიადაც არა. კავკასიაზე შეკითხვის დროს ჩვენ სრულიადაც ხელი არ დაგვიფარებია მთავრობის მოქმედებისათვის. პირიქით, ჩვენ, რამდენათ გარემოება და პირობები ხელს გვიწყობდა, ავღნიშნეთ, რა აღმაშფოთებულ ზომებს ხმარობდა ბიუროკრატია ადგილობრივი საეკლესიო საქმის მართვა-გამგეობის საქმეში.

1852 წლიდან მოკიდებული, როცა ჩვენებურ საეკლესიო ქონებას დაეპატრონენ, დღემდის მას ვნების მეტი არა მოუტანია რა საზოგადოებისათვის. გელათის მონასტრის ხატების გაძარცვა და სხვა ამგვარები მხოლოდ პატარა ეპიზოდებია მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის. სხვა არა იყოს რა, საეკლესიო გლეხებისადმი მისი მამაშვილური მზრუნველობა რათ ღირს! მარტო ამ მზრუნველობის ისტორია კმარა დუმის ტრიბუნაზე გამოიტანო, რომ მის „საპატიო“ სახელს კიდევ შემატო ცოტა რამ მაინც.

მაშ, აქაც ნათელი და ცხადია საქმე: „დროებამ“ ძლიერ კარგათ იცის რა გინდ უცოდინარობის გუნებაზე იყოს პატივცემული გაზეთი, რომ ჩვენ ყოველ ცნობას და მასალას საეკლესიო საქმის შესახებ ჩვენში, თუ მუსულმანებში, თუ სომხებში, დიდის სიხარულით მივიღებთ. „დროებამ“ ძლიერ კარგათ იცის, რომ ჩვენ ვებრძვით ყველაფერს, რაც ხელს უშლის მორწმუნეთა თავისუფალ საზოგადოების შექმნას და განვითარებას.

კი, მაგრამ ავტოკეფალია რომ არსად სჩანსო, უკმაყოფილების კილოთი შეგვეკითხება „დროება“!

მოითმინეთ, ბატონო! მე ეს კითხვა სრულიადაც ვერ შემაშინებს. ჩვენ ყურადღებით წავიკითხეთ „დროების“ მეთაური და ძლიერ კარგათ ამოვიკითხეთ იქ რაც სწერია. გაზეთი გვირჩევს ჭკუა ვისწავლოთ ახლა მაინც, ესე იგი ავტონომიაზე და ავტოკეფალიაზე ამ ხანათ ლაპარაკი შევწყვიტოთ. რაკი ეს ასეა, იმედია „დროება“ აღარ გვისაყვედურებს. ჩვენ, სწორე გითხრათ, გვეგონა „დროება“ გვეტყოდა: წარმოვიდგინოთ, რომ ვისმე სურს მიაწოდოს დეპუტატ ჩხეიძეს მასალა და ცნობები იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენში ავტოკეფალიაა საჭირო. თუ ისიც იმ აზრისაა ავტოკეფალიაზე, როგორის აზრის მისი ამხანაგებია, ხომ ცხვირ-პირში მოგვაყრის ჩვენ ცნობებს და მასალასო.

ჩვენ ვშიშობდით „დროება“ ამას იტყოდა და მასალასაც აბა როგორღა მოგვაწვდიდა! ახლა კი, ვამბობთ, როგორც სჩანს, ავტოკეფალია დროებით სხვენზე უნდა ჩამოიკიდოს. ერთი სიტყვით, აქ „დროებას“ ჩვენთან სამიზეზო აღარა უნდა ქონდეს რა და მასალა-ცნობაც უნდა მოგვაწვდინოს. დღემდის ეს მას არ უქნია, მაგრამ საჭიროება კიდევ მალე დადგება. უწმინდესი სინოდის „სმეტის“ გარჩევა სახელმწიფო დუმაში შორს აღარ არის.

არ ვიცი მიაქცია ყურადღება გაზეთმა „დროებამ“ თუ არა შემდეგ გარემოებას: კავკასიის სმეტაზე მსჯელობის დროს გრაფმა უვაროვმა წინადადება შეიტანა დუმაში, რომ იმ დროისათვის, როცა ხელახლა წარმოადგენს კავკასიის მთავრობა ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვას, ცენტრალურმა მთავრობამ უნდა წარმოადგინოს დუმაში კანონ-პროექტი კავკასიის საერობო დარაჯთა ინსტიტუტის შესახებ. ეს წინადადება დუმამ მიიღო.

მოკლე ისტორია ამ წინადადების ასეთი გახლავთ. შეიძლება გაზეთმა „დროებამ“ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ კავკასიაზე შეკითხვის დროს ჩვენ კარგაძალი ფაქტები მოვიყვანეთ იმის დასახასიათებლათ, თუ რას წარმოადგენს კავკასიის „საპოლიციო სტრაჟა“. აბა რა უნდა ითქვას ისეთი რუსეთის „სტრაჟნიკებზე“, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიიქციოს, მაგრამ რაც ითქვა კავკასიის საპოლიციო დარაჯთა ინსტიტუტის შესახებ დუმაში, უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია. რუსეთის ხალხის სარჩო-საბადებელი პოლიციის შენახვას ხმარდება ყველგან, მაგრამ მთელ რუსეთში, გარდა ამიერ-კავკასიისა დარაჯთა რჩენა-შენახვა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთ არ აწევს ტვირთათ. ორ მილიონ-ნახევარზე მეტი ყოველ წლიურათ იხარჯება ამიერ-კავკასიაში საერობო დარაჯებზე და ეს ხარჯი კაპეიკობამდის ადგილობრივმა საერობო გადასახადებმა უნდა გაისტუმროს. ეს ერთი. მეორე. ავაზაკობაში და ძარცვა-გლეჯაში მათ ყველგან საპატიო ადგილი უჭირავთ რუსეთის იმპერიაში, მაგრამ ისეთ ბუდეს ყოველგვარი ამგვარი მოქმედებისას, როგორსაც წარმოადგენს ეს ინსტიტუტი ჩვენში, ვერსად ვერ შეხვდებით. ეს ყოველივე აღინუსხა თავის დროზე დუმის ტრიბუნიდან. ამის საბუთები ჩვენ მოვიყვანეთ ისეთი ოფიციალური წყაროებიდან, როგორიც არის სენატორ კუზმინსკის უქვეშევრდომილესი მოხსენება და ასეთივე მოხსენება ნამესტნიკის. ნამესტნიკის წარმომადგენელმა და თანაშემწემ მიცკევიჩმა ამის პასუხათ ის სთქვა, ვითომ ეს მართლაც ასე იყო წინეთ, ხოლო ახლა ისეა მოწყობილი საპოლიციო დარაჯთა ინსტიტუტის საქმე ამიერ-კავკასიაში, რომ მტერსაც კი შეეხარბებაო.

თუმცა ეს სთქვა თვით სენატორმა და თვით ნამესტნიკის წარმომადგენელმა, მაგრამ ასეთი პასუხის უვარგისობა მთავრობის მონა-მორჩილმა მესამე დუმამაც კი იგრძნო. მემარჯვენეების და ოქტომბრისტების აზრით სენატორს უფრო ხეირიანი პასუხი უნდა მოეცა.

ასეთ მდგომარეობაში იყო კითხვა დარაჯთა შესახებ, სანამ დუმის საფინანსო კომისია არ შეუდგა კავკასიის „სმეტის“ განხილვას.

ამ სმეტის პირველი პარაგრაფის მეშვიდე მუხლში აღნიშნულია: „ამიერ-კავკასიის პოლიციის დარაჯთა ხარჯათ 2.361,460 მანეთი წლიურათ. საფინანსო კომისიას მაშ, ეს მუხლიც უნდა გაერკვია.

„სმეტის“ განმარტებაში ამ ხარჯის შესახებ ნამესტნიკის საბჭო წინადადებას იძლევა, რომ მომავალში აღნიშნული ხარჯი განაწილებული იქნეს ადგილობრივ მცხოვრებთა და ხაზინას შორის იმ რიგათ, რომ ხალხს ხვდეს ხარჯათ 1,805,460 მანეთი, ხოლო დანარჩენი კი ხაზინას.

კ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება).

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი.

სპარსეთი.

თეირანი. შაჰთან მივიდა დიპლომატიური კორპუსი, მისი დაბადების დღის გამო.

შაჰის მთავრობის მიერ ყოფილ შაჰის გასაცილებლათ გაგზავნილი ფიდაების უფროსი ამიდუს-სალთანე შუა გზიდან უკან გაიწვიეს მისსიების პროტესტის

გამო. ქარვანი ანგიშანში გაჩერდა დასასვენებლათ. ყოფილ შაჰს თან ახლავს 27 კაცი და 40 ქალი.

ოსმალეთი

სალონიკი. მოხდა მაკედონიის საფინანსო კომისიის საბოლოო სხდომა, რომელსაც დაესწრენ სალონიკში მყოფნი, რუსეთის, ავსტრო-უნგრეთის და იტალიის დელეგატები. თავმჯდომარეობდა საგენერალო ინსპექტორატის გამგე. მან წაიკითხა დიდი ვეზირის დეპეშა პირველ სექტემბრიდან საფინანსო კომისიის გაუქმების შესახებ. ასეთივე დეკლარაცია წაიკითხეს ევროპის დელეგატებმა. თავის არსებობიდან კომისიას ქონდა 249 სხდომა. პირველი მოხდა 1905 წლის 20 დეკემბერს. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგატები ჩაეწერენ ახლათ შემდგარ ოსმალეთის საფინანსო კომისიაში. საგენერალო ინსპექტორატის გამგე ხილმი-ბეი მანასტირის ვალათ დაინიშნა.

პერა. 31 აგვისტოს დაიწყო ახალ ჯარის-კაცთა გაწვევა, ქალაქი შვიდ უბნათ დაყვეს. იწვევენ როგორც ოსმალებს, ისე ქრისტიანებს. ქალაქში სიწყნარეა.

რუსეთი

მოგილევი. დაიჭირეს უკანასკნელ ძარცვა-გლეჯის მთავარი მონაწილე, ჩერნიგოვის მცხოვრები 22 წლისა.

ვოზნესენსკაია. სოფელ არმავირში დაიწვა მურანჩაევის და ნაზაროვის თამბაქოს და საზოგადოება „ორიოლი“-ს ლურსმნის ქარხნები. ზარალი 500,000 მანეთამდეა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დაიჭირეს ვიღაც ვალტერი, ტომსკის სატუსაღოს ინსპექტორის ყოფილი თანაშემწე. მას აბრალებენ კამენსკის გემებზე ორჯერ აფეთქების მოხდენას, რომ გემის პატრონებისთვის 50,000 მანეთი გამოეტყუვნა, რევოლიუციონურ ორგანიზაციების სასარგებლოთ.

ოდესა. მოვიდა გზათა მინისტრი. ის გასინჯავს სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებს და გაემგზავრება ნიკოლაევში.

მოვიდა რკინის გზის საანკეტო კომისია. კომისიაში შედის თავმჯდომარე ფონ-ექსპარე, დუმის წევრნი სინადინო, მარკოვი, გერცენვიცი და სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელი მასლოვი.

სევასტოპოლი. 28 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორმა ნახა შავი ზღვის ფლოტი. ძლიერ კმაყოფილი დარჩა და მადლობა გამოუცხადა უფროსებს, აფიცრებს და ჯარის კაცებს.

ეკატერინოსლავი. დაიჭირეს სადგურ ლოხკუტოვოზე თავდამსხმელნი.

ნოვოჩერკასკი. დაიწყო კაზაკთა სტანიცების რწმუნებულთა არჩევნები, მიწების მოწესრიგების შესახებ შემდგარ თათბირში. რწმუნებულები 150. კრება მოხდება ოქტომბერში. დასარიგებელია მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა.

კიშინევი. სამღვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩეველათ აირჩია დეკანოზი გუმა, პირველი დუმის წევრი.

ვარშავა. აღმოაჩინეს პრობის საიდუმლო პალატკა. წაართვეს 56 შტემპელი. დაიჭირეს 20 კაცი.

ვერხნედნეპროვსკი. საოლქო სასამართლომ განიხილა მემამულე ქალის მადრინიცინის მამულის განადგურების საქმე და 42 კაცს რვა თვის სატუსაღო მიუსაჯა, ხოლო ხუთს ორი თვის.

ოდესა. შუაგულ ქალაქში, თავის ბინაზე მძარცველებმა მოკლეს ავეჯის საკეთებელ სახელოსნოს პატრონი ეკიმენსკი.

ვალკი. სამაზრო ერობამ გახსნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. მრავალი გლეხი ნამდვილ წევრათ ჩაეწერა.

კიევი. გაიხსნა მეფუტკრეობის გამოფენა.

პლოცკი. დაიწყო ავტომობილების მოძრაობა.

ხოლერა.

კიევი. ავათ გახდა ერთი, მოკვდა 1, ავათ არის 5.

კრონშტადტი. ავათ გახდა 1.

რეველი. ავათ გახდა ერთი.

რიგა. გემ „იმპერატორ ნიკოლაის“-ზე ხოლერით ავათ გახდა ერთი მატროსი.

ტვერი. ორ დღე და ღამეში ავათ გახდა 46, მოკვდა 12.

იალტა. ბერდიანსკი, მაზრაში ავათ გახდა 8, მოკვდა 3.

საზღვარ-გარეთ

ბუდაპეშტი. მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე ვენაში წავიდა, სადაც ორ-სამ დღეს დაყოფს. ვეკერლე მონაწილეობას მიიღებს მინისტრთა თათბირში მონარქიისათვის საერთო ბიუჯეტის შესამუშავებლათ. შემდეგ ის ინახულებს მეფეს და აუხსნის საქმის მდგომარეობას. რაც შეეხება კაბინეთის აზრს, „პესტელოიდის“ სიტყვით, მას სურს მოაწყოს ბანკის საქმე 1917 წლამდე. შემდეგ კაბინეტი ფიქრობს, რომ მას არ შეუძლია არმიაზე და ფლოტზე დიდი თანხის გადიდების შესახებ მოთხოვნა წარუდგინოს პალატას, უკეთუ დათმობის გზას არ დაადგებიან, რომ ჯარში მადიართა ენა იქნას შემოღებული. საარჩევნო რეფორმის შესახებ კაბინეტს სურს ზოგიერთი ცვლილებები შეიტანოს წინანდელ კანონ-პროექტში, მოსალოდნელია საყოველთაო ხმის მიცემის შემოღება.

ბიურცბურგი. მოვიდა ოსმალეთის გენერალისსიმუსი მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა ჯარის ალლუმზე დასასწრებლათ.

ლიუცერნი. გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. პირველ კრებაზე თავმჯდომარეობდა შვეიცარიის სახელმწიფო დაზღვევის დეპარტამენტის დირექტორი.

ვენა. ვენის შუაგულში ჩეხების და ნემცების სისხლის ღვრა მოხდა. რატუშის წინ, სადაც ნიურნბერგის მომღერლებს დღესასწაული გაუმართეს, შეიკრიბენ ნემეცი ნაციონალისტები, დემონსტრანტებმა იმღერეს „ვახტამრეინი“ და გაემართენ ყავახანისკენ, სადაც ჩეხები შეგროვილიყვნენ. მოხდა შეტაკება. მრავალი დაატუსაღეს.

პოლონეთის „ლიუდოვცების“ აღმასრულებელმა კომიტეტმა სრული ნდობა გამოუცხადა სახალხო პარტიის ბელადს სტაპინსკის და მოიწონა მისი ბრძოლა ბარტის კაბინეტის ცენტრალისტურ და გერმანიზატორულ მისწრაფების წინააღმდეგ. ეს მისწრაფება, კომიტეტის აზრით, გამოიხატა ჩეხებისთვის ენის შესახებ კანონ-პროექტში, სლოვიანების მხარეში ნემეც ინსპექტორის დანიშვნაში და ვენაში და ავსტრიაში ჩეხების სკოლების დახურვაში. შემდეგ რეზოლიუცია მადლობას უძღვნის პარლამენტის წარმომადგენლებს სლოვენთა კავშირთან დაახლოვების ცდისთვის, რადგან მათი წყალობით შეირყა ნემეცთა გაბატონებული მდგომარეობა.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი.

ხმები ნიაზი-ბეის მოკვლის შესახებ. საბერძნეთის გაზეთები იტყობინებიან, თითქოს მანასტირში მოეკლათ ივლისის „პერევოროტის“ გმირი ნიაზი-ბეი. პორტა უარს ყოფს ამ ცნობებს.

მდგომარეობა ალბანიაში. ალბანელებსა და მთავრობას შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. მთავრობამ მათ დასამშვიდებლათ ჯევად-ფაშა გაგზავნა. ათასმა ალბანელმა ხიდი დაიჭირა, ჯარს გადაელობა და მის შეჩერებას შეეცადა. ჯევად-ფაშამ გზაში რამდენიმე სოფელი გაანადგურა. მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოძრაობას რეაქციონერები აღვივებენ და ხელმძღვანელობენ. ჩხრეკა დაპატიმრებამ იმატა. თუ გაზეთებს დავუჯერებთ, რამდენიმე ათასი ალბანელი ჯევად-ფაშაზე დასაცემათ ემზადება. ამათ ყოველ დღე ახალ-ახალი რაზმი ემატება.

ექს-სულთანის კაპიტალი. ყოფილმა სულთანმა, ახ. ოსმალთა კომიტეტის წინადადებით გადასწყვიტა მთელი თავისი კაპიტალი ევროპის ბანკებიდან ოსმალეთის ბანკებში გადმოიტანოს.

პარტიების შეთანხმება. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა ოფიციალურათ გამოაცხადა, რომ უკვე მოხდა შეთანხმება ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტსა და დაშნაკცუტიუნს შორისო. შეთანხმების უმთავრესი დანიშნულებაა კონსტიტუციის დაცვა რეაქციონერებისაგან. შეთანხმება აღიარებს აგრეთვე პროვინციების უფლების გაფართოვებას.

სპარსეთი.

ყოფილი შაჰის გამგზავრება. 27 აგვისტოს ყოფილი შაჰი მაჰომედ ალი უბრალო ეტლით გამოვიდა ზერგენდენდან. მას მოსდევდენ ეტლებით მისი ჰარამხანის ქალები, ბალთურ ჯინგი ოჯახობით, მეჯალალი და სხვები. რუსეთის სიელჩოდან ყოფილ შაჰს ვიცე კონსული ნეკრასოვი გამოყვა. კონვოის შეადგენდა რუსის 5 აფიცერი და 25 ყაზახი. ყოფილ შაჰის ბიძა ნაიბუს სალთანე თეირანში დარჩა.

სპარსეთის ფინანსიური მდგომარეობა. ახალი შაჰის აღმზდელი სმირნოვი ასე აგვიწერს სპარსეთის ფინანსიურ მდგომარეობას:

სახელმწიფო ხაზინა ცარიელია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო რეფორმები სისწრაფით წინ წავიდოდენ. ჩემის აზრით უფულობა არ უნდა აწუხებდეს ახალ მთავრობას. სპარსელები ისე შეეჩვიენ ამას, რომ ამით მათ ვერავინ შეაშინებს. მუზაფერ ედდინიდან დაწყებული მთავრობას ფული არ უნახავს, ყველა ვალით სცხოვრობდა. ამიტომ ტყუილია ის ხმები, თითქო ამ გარემოებას შეეძლოს ნაციონალისტების გაკოტრებას ისინი შეასრულებენ თავიანთ საქმეს პარლამენტის გახსნამდე და მერე კი ყველაფერი მისი საქმე იქნება—და თუ პარლამენტი საქმეს კარგათ წაიყვანს, ხალხს კარგი დრო დაუდგება და თუ შეცთომას დაუშვებს ყველაფერი წაგებული იქნება, სრულ გაკოტრებაც მაშინ დადგება.

დროებით მთავრობის დათხოვა. „ბაქოს“ სიტყვით, ექს-შახის სპარსეთიდან გასვლის შემდეგ, დროებითმა მთავრობამ თავისი თავი გაუქმებულათ გამოაცხადა. მოქმედება ხელ-ახლა არაჩვეულებრივმა კომისიამ დაიწყო. კომისია, როგორც ვიცით, 60 არჩეული პირისაგან შესდგება.

სათარ-ხანი. იგივე გაზეთი იუწყება, რომ სათარ-ხანი არდაბილის გუბერნატორათ დაინიშნაო.

რუსეთის რაზმის მდგომარეობა სპარსეთში. რუსეთის ჯარის მდგომარეობა სპარსეთში მეტათ კრიტიკულია. სალდათები დაფლეთილ ტანისამოსში არიან, არ აქვთ არც პერანგები, არც შარვლები, არც ქუდები. ჯარისთვის ტანისამოსი ერთი თვის წინათ მიუტანია საინტენდანტოს და ორჯერ დაუწუნებია. უკვე სიცივეები დაიწყო და თბილი ტანისამოსი არ აქვთ. თუ ჩქარა არ მიიღეს, „ხალათები უნდა ჩააცვან სალდათებს“. როცა ასე ჩაგლეჯილ-ჩაფლეთილს ხედავენ სალდათებს, სპარსელები კარგათ ვერ უცქერიან.

რუსეთი

სახელმწიფო დუმის არჩევნები მოსკოვში.. 27 აგვისტოს მოხდა ხალხის თავისუფლების პარტიის ქალაქის კომიტეტის კრება. განიხილეს საკითხი თუ ვინ წამოეყენებიათ კანდიდატათ განსვენებულ პლევაკოს ნაცვლათ.

გადასწყვიტეს წამოაყენონ შჩეკინის კანდიდატურა.

ადგილობრივი ოქტომბრისტები ამ დღეებში მოელიან გუჩკოვს, რომელიც იმ მიზნით მიდის, რომ დააინტერესოს ხალხი არჩევნებით.

როცა გუჩკოვი მოვა მოიწვევენ 17 ოქტომბრის ქალაქის საბჭოს, რომელსაც ყველა საარჩევნო უბნების წარმომადგენელნი დაესწრებიან.

უკანასკნელი პროფესიონალური კავშირის დახურვა. 16 აგვისტოს სარატოვის საგუბერნიო ადმინისტრაციამ დახურა ლითონის მუშათა პროფესიონალური კავშირი. დახურვის მიზეზი შემდეგი იყო: 1) პოლიციის იქ ყოფნის დროს კრების დემონსტრატიულათ დახურვა 2) წესდების გვერდის ახვევა 3) კავშირის ბიბლიოთეკისთვის ტენდენციური წიგნების შეძენა და ბოლოს ის, რომ წევრების დახმარების დროს გამგეობა ხელმძღვანელობდა საზოგადო კრების მიერ დაუმტკიცებელი ინსტრუქციით.

დუმის არჩევნები. ოდესის მონარქისტები შეუერთდენ ზომიერ მემარჯვენეებს, მთელ თავის ძალებს იკრებენ და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ოდესიდან თავისი შავრაზმელი კანდიდატი გაიყვანონ. ამ დღეებში მოხდება ყველა ადგილობრივი მემარჯვენე ორგანიზაციის კრება დეპ. პურიშკევიჩის თავმჯდომარეობით. კრების მიზანია სთხოვოს მთავრობას, რომ ებრაელებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვან.

სიკვდილით დასჯილთა სტატისტიკა. უმთავრეს სამხედრო-სასამართლოს უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ 1901 წელს სიკვდილით დაუსჯიათ 9 კაცი; 1902 წ. 28; 1903 წ. 11; 1904 წ. 19; 1905 წ. 19; 1906 წ. 236; 1907 წ. 627; 1908 წ. 1,330; დღეში 4 კაცი. 1908 წ. ყველაზე მეტი ჩამოუხრჩვიათ ოდესის ოლქში—359. საერთო რიცხვი ამ წლების განმავლობაში უდრის 2,279, წელიწადში საშუალო რიცხვით 356. ამ რიცხვში არ შედის, რასაკვირველია, „ადმინისტრატიული წესით“ დახვრეტილ-ჩამოხრჩობილნი. ეს რიცხვიც, რასაკვირველია, ძალიან შორს არის სინამდვილესთან.

ისპანია

თეთრი ტერორი ბარცელონაში. ბარცელონის უკანასკნელი ამბები საზარელ სურათს წარმოადგენს. გაბოროტებული მთავრობა სასტიკათ შურს იძიებს ხალხზე, ყოველ დღე აუარებელ ხალხს იჭერენ. სატუსაღოები სავსეა. დატუსაღებულია 4000 კაცზე მეტი. ბევრი მათგანი მთელი დღეები მშიერია და თუ ვინმემ გაბედა ციხის რეჟიმზე საყვედურის თქმა, სასტიკათ სჯიან. საეჭვო პირებს, რომლებსაც რაღაც მოსაზრებით არ ატუსაღებენ, ქალაქიდან აძევებენ. ქალაქის ყოფილი ხმოსანი რადიკალი ოლიკარესი დახვრიტეს. კიდევ 20 კაცის დახვრეტას აპირებენ. ას კაცს სამუდამო დატუსაღება გადაუწყვიტეს. ქალაქი სავსეა ჟანდარმებით და ჯაშუშებით მიუხედავათ ამისა, ქალაქში ხშირია ყუმბარების სროლა. ოფიციალურათ ყველა ამას ანარქისტებს აწერენ, მაგრამ ნამდვილათ კი, პროვოკაცია უნდა იყოს. ვაჭრობა-მრეწველობა მოკვდა. მთავრობამ დახურა სკოლები, აფთიაქები და საავათმყოფოები. კლერიკალების სიხარულს საზღვარი არა აქვს. დანგრეულ მონასტრების ბერმონაზნები ქალაქში დადიან და შემოწირულებას კრეფენ. მონასტრებს ხელ-ახლა აშენებენ, მონასტრების ხის კარების მაგიერ რკინისას უკეთებენ. ეს სიფრთხილე უსაფუძვლო არ არის, რადგან მცხოვრებლები თანდათან ღელავენ; 24 აგვისტოს ვაჭრებმა გადასწყვიტეს დაკეტონ ყველა მაღაზიები ეხლანდელ რეჟიმის პროტესტის გამოსაცხადებლათ. ხმები გავრცელდა მოსალოდნელ გაფიცვის შესახებ.

საზღვარ-გარეთ.

ტრედ-უნიონების კონგრესი. ტრედ-უნიონების კონგრესმა, სხვათა შორის, მიიღო რეზოლიუცია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე შრომის სამინისტროს დაარსების შესახებ. მეორე რეზოლიუცია მოითხოვს, რომ ისეთ სამრეწველო დარგებში, სადაც მამაკაცების მაგიერ ქალებს ამუშავებენ, ამ უკანასკნელთ ისეთივე ხელფასი ეძლეოდეს, როგორც მამაკაცებს, ისე, როგორც ეს არის ახალ ზელანდიაში. გადაწყვიტეს აგრეთვე, რომ შრომის ბირჟები ექვემდებარებოდეს არა სავაჭრო სამინისტროს, არამედ ტრედ-უნიონების და მრეწველთა გამგეობას.

ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენა. როგორც ვიცით, ჩრდილოეთის პოლიუსი აღმოაჩინა ამერიკელმა კუკმა, ეხლა ცნობა მიიღეს, რომ პოლიუსი კუკმა კი არა მე აღმოვაჩინეო—იწერება მეორე გამომკვლევი პირი. პირმა პოლიუსი დეპეშით ამერიკის პრეზიდენტ ტაფტს უძღვნა. ტაფტმა მადლობა გადაუხადა და ირონიულათ შენიშნა: ძვირფასი საჩუქარია, მარა არ ვიცი ღმერთმანი, როგორ მოვიხმარო, რა ვუყოო.

დამატებითი არჩევნები გერმანიის რეიხსტაგში. საქსონიის ოლქში, სტოლბერგში დამატებითი არჩევნებზე რეიხსტაგში აირჩიეს ს.-დემოკრატი შეპფლინი. ამ ოლქში დიდი ხანია მუდამ ს.-დემოკრატებს ირჩევდენ. მათმა კანდიდატმა 1907 წელს მიიღო 19 ათასი ხმა, ეხლა კი 21 ათასი. შეერთებულ ბურჟუაზიის კანდიდატმა ეხლა მიიღო 9,500 ხმა. წინათ 14,500 ხმა. ეს ციფრები აშკარათ მოწმობენ გერმანელ ამომრჩევლის მარცხნით გადახრას, რაც არა პირდაპირ გადასახადის გაყვანის და კონსერვატიულ-კლერიკალურ კოალიციის გამარჯვების შედეგათ უნდა ჩაითვალოს.

ახალი ამბები

—

„ქ. შ. წ.-კითხ. საზოგადოების გამგეობის მორიგი კრება მოხდება დღეს, საღამოს 7 საათზე.

◆ **თფილისის ტრამვაი.** ტრამვაის მოსამსახურეთა და ადმინისტრაციასთან ძველ ხელშეკრულობის თანახმად, სექტემბრის ბოლო რიცხვებში ტრამვაის მოსამსახურეებს უნდა დაურიგდეთ საზამთრო ტანისამოსი, მარა ტრამვაის ადმინისტრაცია ყურსაც არ იბერტყს ამის შესახებ. ამის გამო ტრამვაიის კონდუქტორ-ვატმანებმა 1 სექტემბერს აირჩიეს დელეგატები და გაგზავნეს დირექციასთან მოსალაპარაკებლათ. მათ დირექციისაგან შემდეგი პასუხი მიიღეს: „ტანისამოსს მიიღებთ იმ შემთხვევაში, თუ თანახმა გახდებით ტრამვაის უმაღლეს ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ ახალ პირობებში მუშაობაზე. თქვენ მოთხოვნილებას კი ბრიუსელში ვაცნობებთ და პასუხს ერთი კვირის შემდეგ მიიღებთო“. ამასთანავე, ტრამვაის ადმინისტრაციამ გააფრთხილა მუშები, რომ უკეთუ თანახმა არ გახდებით ახალ პირობებში მუშაობაზე, მიიღეთ ანგარიშები და მიბრძანდით, ხელმეორეთ ადგილზე მიღების იმედი ნურავის გექნებათო.

◆ **გაზ. „მშაკის“ რედაქტორი პასუხისგებაში.** გაზ. „კავკაზის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი: „პრავიტ. ვესტნ.“ მე-113 №-ში დაბეჭდილი იყო სიტყვა ხელმწიფე იმპერატორისა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოს მათეოს მეორესადმი, რომელიც წარუდგა ამას წინათ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობას. გაზ. „მშაკის“ მე-139 №-ში კი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო კათოლიკოსის სიტყვა, წარმოთქმული მათ იმპერატორებითი უდიდებულესობასთან გამოცხადების დროს, მოყვანილია რამდენიმე საპასუხო სიტყვა ხელმწიფე იმპერატორისა, როგორც გადმონაბეჭდი სტამბოლის სომხურ გაზეთებიდან, რაიც არ არის მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში. თფილისის ბეჭდ. სიტყვის კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში, რომ არავის არ აქვს უფლება ხელმწიფის სასახლის მინისტრის ნებადაურთველათ დაბეჭდოს ზეპირი თქმულება ხელმწიფე იმპერატორისა და სხვა მეფის გვარეულობათა, პასუხისგებაში მისცა გაზ. „მშაკის“ რედაქტორი“.

◆ **პოლიტიკური საქმე.** 9 სექტემბერს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო გაარჩევს მაშო კაპანაძის, გერმანე მგალობლიშვილის, თავ. ერისთავის და კონსტანტინე ფარჯანაძის საქმეს, რომელთაც ბრალათ ედებათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის მეუმრავლესეთა მებრძოლ რაზმში მონაწილეობის მიღება. მათ გაასამართლებენ სისხლის სამართლის დებ. 102 მუხ. 2 ნაწ. ძალით. გარდა ამისა, ფარჯანაძეს და ერისთავს ბრალათ ედებათ სხვისი პასპორტით ცხოვრება. საქმე დახურულ კარებში გაირჩევა. ბრალდებულებს დაიცავენ ნ. ელიავა და ივ. კაჩუხოვი.

◆ **სომხური დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრება.** 1 სექტემბერს მოხდა სომხურ დრამ. საზოგ. გამგეობის მორიგი კრება ხსენებული საზოგადოება ამ ჟამათ საშინელ მატერიალურ კრიზისს განიცდის. ამიტომ, გამგეობის კრებამ გადაწყვიტა სრულებით შეწყვიტოს მოქმედება. 5 სექტემბერს გამგეობა გამართავს უკანასკნელ კრებას, რომელზედაც მოიწვევენ სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირთ. ეს კრება საბოლოვოთ გადაწყვეტს სომხ. დრამატიულ საზოგადოების ბედ-იღბალს.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამმართველომ** არ შეიწყნარა შუამდგომლობა თფილისის ქალაქის გამგეობისა თფილისის ტელეფონის მავთულის ხაზინისაგან მის ხელში გადასვლის შესახებ.

◆ **ადმინისტრატიული წესით გადასახლებულის შეპყრობა.** 30 აგვისტოს აგვისტოს სალდათის ბაზარში პოლიციამ დააპატიმრა თფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავისი ნებით დაბრუნებული ანდრია მერაბაშვილი.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 1 სექტემბერს მე-9 საპოლიციო ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 11 უპასპორტო.

◆ **ცეცხლი.** 1 სექტემბერს შუადღის 12 საათზე გოგოლის ქ. სახლს № 63, რომელშიაც საზოგადოება „კახეთიაა“ მოთავსებული, გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი საჩქაროთ ჩააქრეს. ზარალი ას მანეთამდეა.

◆ **სტრაჟნიკის მოკვლა.** 30 აგვისტოს, როგორც „ბათუმ. იხვეს.“ გადმოგვცემს, სადგ. ნატანებსა და ქობულეთს შუა უპოვიათ გონიის უბნის სტრაჟნიკი, რომელსაც რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა. ის საჩქაროთ გაგზავნეს ბათუმის საავათმყოფოში, მარა რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მომავალის" რედაქცია აცხადებს, რომ მას არ შეუძლია იმ ფულის მიღება, რომელიც ნაჩვენები ადრესით არაა გამოგზავნილი.
ფულის მისაღები ადრესი მხოლოდ ესაა:
Тифлисъ, типографія «Сорапань», **Калистрату Константиновичу ЦУЛАДЗЕ.**

✦ უბედური შემთხვევა. 31 აგვისტოს სად. სამტრედიაზე „მანევრების" დროს ვაგონს ქვეშ მოყოლია რკინის გზის ბათალიონის სალდათი და იქვე გაუჭყლეტია.

✦ გადმოსახლებულები. „კ. დ." სიტყვით, კოლონია „დუხობორსკაიას" შეუძენია 500 დეს. მიწა თბილისის მახლობლათ და განზრახვა აქვთ მომავალ ზამთარში იქ დასახლდენ. ხსენებული კოლონია დღემდე დასახლებული იყო ყუბანის ოლქში, მაგრამ ვინაიდან იქ მიწა მეტის მეტათ ძვირია, გადასწყვიტეს თბილისის მახლობლათ იცხოვრონ.

✦ ახალი რკინის გზები. განზრახვა აქვთ გაიყვანონ რკინის გზა ახალ-ქალაქიდან ბაკურიანამდე. ამასთანავე, ფიქრობენ ბაკურიანის დიანდაგი უფრო გააფართოვონ.

✦ მივიღეთ სვგ. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ ბარდუშეთის ნავთსადგურის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 5 მან. 80 კაპ. შემომწირველთა სია: ვასო—50 კაპ., დათიკო—50 კაპ., გიორგი—40 კ., ალექსი—20 კ., ბიქტორ—20 კ., Ваня—1 руб., Петя—1 руб., Саша—50 коп., Миша 30 коп., Павлуша—30 к., Коля—30 к., Антонъ—25 к., Вася—50 к., სულ—5 მ. 95 კაპ. ფულის გამოსაგზავნათ—15 კაპ. დარჩა 5 მან. 80 კაპ.

წყლის-საყვანი ქუთაისში

I.

(შემდეგი)

ჯერ კიდევ თვე არ გასულიყო, რომ საბჭომ უარყო თავისი შუამდგომლობა ამ გრძელ-ვადიანი სესხის შესახებ. ძლიერაც რომ უნდოდეს, მთავრობა გრძელ-ვადიან სესხს ვერ მისცემს ქალაქს, იმიტომ, რომ ჯერ ამისთანა მაგალითი არ ყოფილა და ქუთაისი კი რა წითელი კოჯია, რომ ის გახდეს გამონაკლისი ყველა ქალაქებიდანო. მთავრობა ერიდება ამისთანა პრეცენტენტების შექმნას. ეს იქიდან სჩანს, რომ მთავრობამ არ შეიწყნარა იმისთანა მცირე შუამდგომლობაც კი, რომ 10,000 მანეთი, რომელიც ქუთაისს მისცეს 1892 და 1893 ში ხოლერასთან საბრძოლველათ, ეპატიებით ქალაქისთვის. მთავრობა ასე იმიტომ მოიქცა, რომ სხვა ქალაქებს არ მიებაძათ ქუთაისის მაგალითისთვის. თუ მაინცადამაინც არ დაგვიშლით, უსარგებლო კი არა, სარგებლიანი სესხი ვთხოვოთ მთავრობას, რადგანაც უსარგებლო სესხის მიღების იმედი თავის დღეში არ უნდა გვქონდესო. სესხიც რომ ვერ მივიღოთ ბოლოს და კონცესიონერი კი დავკარგოთ, რომელიც ხელსაყრელ პირობებში გვპირდება წყლის-საყვანის გაკეთებას, ეს ხომ მთელი უბედურება იქნებოდაო. რასაკვირველია, სახეში ყავდათ ბ. მიხაილოვი, რომელიც ამ დროს გამოჩნდა ქუთაისის ჰორიზონტზე. მთელი ეს მიკიბულ-მოკიბული მსჯელობა, ეს მთავრობის განზრახვების წინასწრება კონცესიონერის მომხრე ჯგუფმა იხმარა საბჭოს წინანდელ დადგენილების მოსასპობ თილისმათ და 1899 წელს 14 ივნისს საბჭომ დაადგინა, წყლის-საყვანის გაკეთება კონცესიონერისთვის მიეცა.

ამ დადგენილებას წინაალუდგა მთელი ჯგუფი გავლენიან ინტელიგენტ ხმოსნებისა. მათ გრძელი საპროტესტო წერილი შიაყოლეს საბჭოს გადაწყვეტილებას. ეს ხმოსნები თავის პროტესტს ერთიანათ აფუძნებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს 22 ოქტომბრის 1896 წლის ცირკულიარზე, რომელიც ამბობს, სასურველია ქალაქებმა იმისთანა მომგებიანი საქმეები, როგორიცაა წყლის-საყვანი, ტრამვაი, სასაკლაო, ქალაქის განათება და ამისთანაები თვითონ აწარმოვონ და არას გზით არ ჩაუგდონ ხელში სხვადასხვა კონცესიონერებს. მთავრობა მზათაა სესხათ დაეხმაროს იმ ქალაქებს, რომლებიც ამისთანა ხელსაყრელ საქმეს თვითონ აწარმოებენო. შეიძლება ამნაირი ზომებით ქალაქებმა შესძლონ იმ სიბეჩავიდან გამოსვლა, რომელშიაც ეხლა იმყოფებიანო. საგუბერნიო საკრებულო ერთიანათ მაემხრო ამ ჯგუფს ხმოსნებისას და არ დაამტკიცა საბჭოს გადაწყვეტილება წყლის-საყვანის კონცესიით გაცემის შესახებ.

საქმეს ვერც ამ „ვეტო"-მ უშველა. ქალაქის მამებმა ვერ გაბედეს და ვერა საკუთარის ძალ-ღონით შესდგომოდენ წყლის-საყვანის კეთებას. კიდევაც რომ მოგვცეს მთავრობამ უსარგებლო გრძელ ვადიანი სესხი, ქალაქი ამ ვალის გადახდას ვერ შესძლებს და ერთი დღე იქნება, ჩვენი ქალაქის თვითმართველობა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩადგებაო. ესეც არ იყოს, ქალაქის თვითმართველობას იმისთანა კაცები არა ყავს, რომელთაც ამისთანა საქმეების მოგვარება და გაძღოლა ეკისრონო. დაგვრჩენია ერთად-ერთი კონცესიონური გზა და 1901 წელს 21 ივლისს საბჭომ. ბ. მიხაილოვს კონტრაქტით შეეკრა. როგორც ყველას მოეხსენება, ბ. მიხაილოვმა ვერ შესძლო საქმის განხორციელება; მის კრახს მოყვა არევ-დარევის წლები და მაშინ წყლის-საყვანისთვის აბა ვის სცხელოდა. წელს კიდევ მოკიდა ხელი ამ საქმეს ქალაქის თვითმართველობამ.

II.

ეხლა განვიხილოთ მეორე საკითხის ისტორია ე. ი. რა აზრის იყო ქალაქის თვითმართველობა გამოსაყვანი წყლის შესახებ. ვის დაებადება ეჭვი იმის შესახებ, რომ სახმარათ ანკარა წყაროს წყალი ყოველნაირ სხვა წყალს სჯობია. რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ მთა-გორიან ადგილებში წყაროები ბლომათ იქნებოდა, ქალაქის თვითმართველობა შეუდგა ქუთაისის მიდამოებში წყაროების კვლევა-ძიებას.

1892 წელს საბჭომ ტეხნიკოს ძოწენიძეს მიანდო ყოველმხრივი გამოკვლევა ყველა იმ წყაროების, რომლებიც მოიპოვებოდენ ქუთაისის გარშემო, მაგრამ არა უშორეს 15 ვერსტისა. ბ. ძოწენიძის შემდეგ ქალაქის თვითმართველობამ ინჟ. კონრადის მიანდო ამ წყაროების უფრო საფუძვლიანი გამოკვლევა. ბ. კონრადიმ მთელი თავისი ყურადღება „ცხრა-თავას" მიაპყრო, რადგანაც ბ. ძოწენიძემ მხოლოდ ეს წყარო იცნო გამოყვანის ღირსათ. ბ. კონრადის გამოკვლევით „ცხრა-თავას" დებიტი (რაოდენობა წყლის განსაზღვრული დროს განმავლობაში) უდრიდა 53,500 ვედროს დღე და ღამეში. ასე რომ, ეს წყარო ვერ მისცემდა ჩვენ ქალაქს საკმაო წყალს. ამიტომ ბ. კონრადი ურჩევს ქალაქს, რომ მან თავი დაანებოს წყაროების ძებნას და გამოიყვანოს ფილტრებით დაწმენდილი რიონის წყალი, რადგანაც ეს წყალი კარგი ღირსებისაა და მისი გამოყვანა შედარებით იაფთაც დაჯდებაო. რიონის წყლის გამოყვანას ურჩევდა ქალაქს ის ბ. კონრადი, რომელსაც სხვადასხვა ქალაქებში 10 წყლის-საყვანი გაეკეთებია, რომლებიდანაც 9 წყაროებიდან იყო გამოყვანილი. რიონის წყლის გამოყვანას ურჩევდა ქალაქს აგრეთვე ინჟ. გრიაზნოვი, რომელიც ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ საგანგებოთ გაგზავნა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში წყლის-საყვანის შესასწავლათ. 1898 წელში წყლების სამმართველომ ქუთაისის გარშემო მდებარე წყაროების გამოსაკვლევათ ინჟ. ზავრიევი გამოგზავნა თფილისიდან.

ბ. ზავრიევმა ძლიერ ცოტა ხანს დაჰყო ამ წყაროების შესასწავლათ, მაგრამ ისიც იმ აზრის დაბრუნდა აქედან, რომ წყაროები არ კმარა ქუთაისისთვის და უმჯობესია რიონიდან გამართავდენ წყლის-საყვანსო.

ქუთაისის მიდამო წყაროების შესასწავლათ ქალაქის გამგეობამ მოიწვია აგრეთვე ინჟინერ-გეოლოგი სიმონოვიჩი. ის შეჩერდა ორ წყაროზე, ეგრეთ წოდებულ, „ფიცრის-წყალზე" და „ღრუდოზე". ბ. სიმონოვიჩის აღწერით ფიცრის-წყალი გამოდის კირის ქვის (ИЗВЕСТНЯКЪ) ნაკეცებს შუა მდებარე ნაპრალიდან გვარიანი სიძლიერით. ამ წყაროს დებიტი უდრის 270,000 ვედროს დღე და ღამეში. Γ^0 (ტემპერატურა) აქვს 9° რეომიურით. ფიცრის-წყალი და ღრუდო წარმოადგენენ მიწის სიღრმიდან ამომქუხარე წყლებს. თუ წყაროების გამოყვანა სურს ქალაქს, ის უნდა შეჩერდეს ფიცრის-წყალზე და ღრუდოზე. ორივე წყარო უნდა შემოკავდეს 12 დესეტინის სივრცეზე და ამ ადგილზე ცემენტით უნდა ამოივსოს ყველა ნაპრალები და ორმოები, იმისთვის, რომ ზევიდან ჩასულმა ტალახიანმა წყალმა არ გააბინძუროს ეს წყაროებიო. თუ რაიმე მოსაზრებით ეს პლანი უხერხული აღმოჩნდება, მაშინ აჯობებს, რომ რიონის წყალზე შევჩერდეთო.

წყლის ბუნების განსასაზღვრათ დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფიზიკურ თვისებებს. შესახედაობას ე. ი. სასიამოვნო შესახედავია წყალი თუ არა, ფერს, გამჭვირვალეა წყალი თუ არა, გემოს და სუნს წყლისას, მაგრამ საჭებით რომ ვიცოდეთ წყლის ღირსება-ნაკლულევანებანი, მარტო ფიზიკური თვისებების ცოდნა არ კმარა, საჭიროა ვიცოდეთ აგრეთვე მისი ქიმიური შენადგენობა. ამიტომ ქალაქის გამგეობამ ფიცრის-წყალის ნიმუში პროფესორ პეტრიაშვილს გაუგზავნა ოდესაში ქიმიური ანალიზისთვის.

პეტრიაშვილის ანალიზმა დაამტკიცა, რომ ეს წყალი სასმელათ ყოველ მხრით კარგი თვისებისაა. ორგანიულ ნივთიერებათა, ამმიაკის, ნიტრიტების და ნიტრატების არ ყოფნა, იდეიალურს ხდიან ამ წყალს. ქლორის და გოგირდის სიმჟავის რაოდენობა იმ ნორმის minimum-ზე ნაკლებია, რომელიც მიღებულია ჰიგიენური კომისიისაგან. ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს წყალი ვურჩიოთ ქალაქს გამოსაყვანათ".

ეხლა დავუკვირდეთ, რა ბუნებისაა რიონის წყალი. განსვენებულმა ს. თოფურიამ რიონის წყლის რამდენიმე ნიმუში გაგზავნა ბორჯომის ქიმიურ ლაბორატორიაში ანალიზისთვის. ერთი ნიმუში იყო ამოღებული ქალაქს გარეთ იმ ადგილას, სადაც წყალი ძლიერ სუფთა იყო. დანარჩენი სანიმუშო კი შიგ ქალაქში ამოიღეს სხვა და სხვა ადგილსა, განსაკუთრებით იქ, საიდანაც მცხოვრებლებისთვის სახმარ წყალს ეზიდებიან.

ეს ანალიზიც დასკვნის გამოსაყვანათ პროფესორ პეტრიაშვილს გაუგზავნეს ოდესაში. რადგანაც თავისი აზრი ან განსვენებულმა პროფესორმა ცოტა გრძლათ გამოსთქვა, ვეცდები მისი უმთავრესი აზრები მხოლოდ გადმოგცეთ ამ საგნის შესახებ. ის თვისებები, რომლებიც უნდა ქონდეს კარგ სახმარ წყალს, მეცნიერებაში ჯერ ვერ არიან საკმაო მკაფიოთ განსაზღვრულიო. მიუხედავათ სხვა და სხვა ჰიგიენურ კომისიებისაგან და მეცნიერებისაგან წამოყენებულია ის ნორმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს კარგი სახმარი წყალი; თანაც ნაჩვენებია ის საბოლოო რაოდენობა მინერალურ და ორგანიულ ნივთიერებათა, რომელიც შეიძლება დაშვებული იქნეს კარგ სახმარ წყალშიო.

პროფესორ პეტრიაშვილის მიერ ამ ორი წყალის ანალიზის შედარებიდან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დავასკვნათ: 1) რიონის წყალი თავის შემადგენლობით თითქმის ძლიერ ბინძურ ადგილიდანაც, აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს, რომლებსაც კი ტეხნიკა უყენებს საზოგადოების სახმარ წყალს; 2) მუდმივი სიმკვრივე ამ წყლის უდრის $0|^0$, რაც იშვიათი მოვლენაა მდინარის წყლებში, რაც შეეხება დროებით სიმკვრივეს (ЖЕСТКОСТЬ), ისიც არ უნდა იყოს 5—6$|_0$ მეტი, რაც მხოლოდ ამ წყლის ღირსებას შეადგენს. ქლორეულობის და გოგირდეულობის რაოდენობაც ამ წყალში ბევრათ ნაკლებია იმ ნორმაზე, რომელიც კარგი წყლისაგან მოითხოვება. ასე რომ ამ მხრივაც რიონის წყალი მშვენიერია; 3) რიონის წყალში არის ეგრეთვე ცოტაოდენი სოდა ($NaCo_3$) დაახლოვებით 0,027 გრ. ერთ ლიტრა წყალში. ამ ნივთიერებას ჰიგიენური მნიშვნელობის გარდა აქვს ტეხნიკური მნიშვნელობაც; მაგ., ამისთანა წყალში საპონი ნაკლები იხარჯება. თუ ამ დებულებებს ავსწონით, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ რიონის წყალს ტეხნიკური მხრით დიდი ღირსებები აქვს.

გამოსაყვანი წყლის შესახებ ინჟ. მიხაილოვმა შემდეგი აზრი წარმოუდგინა ქალაქის თვითმართველობას: გამოკვლევის დღეს სწვიმდა და ფიცრის-წყალი ძლიერ ღვრია იყო. კარგი ამინდის დროს, რომელიც წვიმის შემდეგ დადგა, ეს წყალი პირდაპირ ტალახიანი იყო. შესახედავათ ის არაფრით განირჩეოდა უბრალო ნიაღვარისგან. წყალს აგურისავით წითელი ფერი ქონდა და სრულებით გამჭვირვალე არ იყო. წყლის ნიმუშმა ბოთლში მალე კარგა ბევრი ნალექი დაიკრიფა. დიდი ხნის დგომის შემდეგაც წვრილათ გარინდებულ ამღვრეულობის გამო წყალი გამჭვირვალე არ იყო. ფიცრის-წყალი არას გზით არ შეიძლება ნამდვილ წყაროთ ჩაითვალოს. ეტყობა, წყალი თავის გზაზე არსად არ იწურება. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ წყალი მიწის ქვეშ მიდის დიდ არხებში და არა ვიწრო ნაპრალებში და ნიადაგის ნაწილების შორისებში. აქ გარემო ნიადაგეულობის მდებარეობა იმნაირია, რომ წყაროს, რომელსაც გნებავთ, შესაძლებელია კვებავდეს ძლიერ შემოზღუდული ადგილობრივი რაიონი. კირის-ქვის ნიადაგი აქ ძლიერ დაღარულია და დიდ-დიდი ღრუები ღრმათ ეშვებიან მის ჯურღმულში. ამ ღრუებში და არხებში, რომლებიც ერთი მეორეზე უნდა იყვნენ გადაბმული, წყალი ისე მიდის, რომ არ იწურება. ფაცრი-წყალის მიდამოებში ბ. მიხაილოვს თავის თვალით უნახავს ნაკადული, რომელიც ერთ ამისთანა ღრუში ჩადიოდა და ნიადაგის სიღრმეში იკარგებოდა. გარდა ამისა, ზოგ ალაგას სჩანს წვიმისგან ამღვარი ნიაღვარის კვალი, რომელიც იკარგება იქ, სადაც ამისთანა ღრუები დასერილ ნიადაგს ამოუყვია თავი. უნდა ვიფიქროთ, რომ ფაცრის-წყალი წარმოსდგება მდ. ქიშურიდან, რომელიც ზემოთკენ ჩადის კირის-ქვის ნიადაგის ნაპრალებში და უფრო დაბალ ჰორიზონტში ხელახლავ გამოდის წყაროს სახით. ეს წყარო რომ დავიფაროთ ზევიდან ჩამავალი ჭუჭყიანი წყლის შერევისაგან, საჭიროა მთელი ბარი წყაროს გამოსავალთან დაიხუროს წყლისგან გაუვალი რამ ნაკეცით. მაგრამ შესაძლებელია მაშინ წყაროც დაშრეს, რადგანაც მას საკვები შემოაკლდება. რაც შეეხება ღრუდოს, გამოკვლევის დღეს იმასაც ისეთი ტალახიანი წყალი გამოქონდა, როგორიც ფაცრის-წყალს. ღრუდოსაც იმისთანა შთამომავლობა აქვს, როგორიც ფაცრის-წყალს.

გრ. ნახარიძე.

(შემდეგი იქნება)

წერილი შორეულ აღმოსავლეთიდან

ჩინეთ-იაპონიის კონფლიკტი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ ლაპარაკი, ჯერ კიდევ წაუშლელია ის შედეგები, რაც ამ ომმა გამოიწვია, რომ ახალ ომზე, ჩინეთ-იაპონიის ომზე გავრცელდა ხმები. მაგრამ ეს ხმები ხმებათ დარჩა და მოხდა ის, რაც ასე მოსალოდნელი იყო: იაპონიამ დატუქსა ჩინეთი და ძალით ატარებს ცხოვრებაში თავის გადაწყვეტილებას.

რომ ჩინელებმა არ იცოდენ იაპონელების „მეგობრების" ნამდვილი ფასი, ამას მშვენივრათ გააცნობდა მათ იაპონიის მთავრობის ორგანოს ოფიციოზური სტატია რომელიც მოთავსებულია გაზეთ „კოკუმინის" უკანასკნელ ნომერში. „კუკუმინი აცხადებს, რომ ახლო ხანში მოსალოდნელია ჩინეთსა და იაპონიას შორის დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტაო. საქმე იმაშია, რომ დღემდე იაპონიის მთავრობას ჩინეთის მთავრობამ არ აღირსა თანხმობა, რომ გაიყვანოს რკინის გზა მუკდენსა და ანდუნს შუა,-ეს კი ძლიერ ეღობება წინ იაპონიის ძლიერების ზრდას მანჯურიაში. საერთაშორისო პოლიტიკაში მუკდენ-ანდუნის რკინის გზის გაყვანა—ეს კარდინალური კითხვაა —იაპონისათვის. მართალია, მუკდენსა და ანდუნს შუა გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, მაგრამ რომ ის სამხედრო მოქმედების დროსაც გამოდგეს, საჭიროა მისი ჩვეულებრივ ფართე ლიანდაგათ გადაკეთდება.

იაპონური გაზეთები ერთხმათ ამტკიცებენ, რომ თუ ჩინეთმა არ განაცხადა თანხმობა რკინის გზის გაყვანაზე, იაპონია მზათ არის ყოველ გვარ ზომებს მიმართოს, რომ მიზანს მიაღწიოსო. ერთი სიტყვით, გაზეთები, რომელთაც, როგორც ჩანს, ერთი საერთო დირიჟორი ყავთ, აშინებენ ჩინეთს და ყოველ დღე მუქარას უთვლიან. ძნელი სათქმელია, როგორ იმოქმედებს ჩინეთზე ასეთი მუქარა.

რათ გაიმეტა „მონათესავე" იაპონია ჩინეთმა და რათ სტკიცა ასეთი ცივი უარი, რამაც, თუ იაპონურ გაზეთებს დავუჯერებთ, მთელი იაპონიის საზოგადოებრივი აზრი აამხედრა მის წინააღმდეგ?

ჩინეთი კარგი ხანია ხედავს, რომ სხვა სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო მადიანათ მანჯურიას იაპონია უყურებს. კორეის დაპყრობის შემდეგ როგორც de facto, ისე de juro, ჯერი მანჯურიაზე მიდგა. და მიდგა. და აი, იაპონიამაც არ დააყოვნა და შეუდგა სამზადისს. პირველი თვალსაჩინო და საყურადღებო ნაბიჯი ამ სამზადისაკენ—ეს მუკდენ-ანდუნის რკინის გზის გადაკეთებაა. ამ რკინის გზის გადაკეთება არაჩვეულებრივათ გააძლიერებს იაპონიას კვანტუნზე, მუკდენ-ანდუნის რკინის გზა გადააბამს მანჯურიას კორეიასთან. კვანტუნზე იაპონიას საშვალება მიეცემა მოაწყოს მშვენიერი სამხედრო ბაზა, საიდანაც 24 საათის განმავლობაში შეეძლება აურაცხელი ჯარებით აავსოს რუსეთის საზღვრები მანჯურიაში და მონღოლიაში. ხსენებული რკინის გზის გაყვანას შედეგათ მოყვება ის, რომ ჩინეთმა უნდა დაემშვიდობოს მანჯურიას და მისი ბატონ-პატრონობა ძალდაუნებურათ იაპონიას გადასცეს. ეს კარგათ ესმის ჩინეთს და ამიტომაც არის, რომ არას გზით არ თანხმდება ამ გზის გაყვანაზე. იაპონელები მუდამ იმას ჩასჩიჩინებენ ჩინელებს, რომ მათ შორის შუღლის და მტრობის ჩამოგდება არ არის დასაშვები, რადგან ორთავენი „მონათესავე ერებია" და ჭირში და ლხინში თანხმობით უნდა მოქმედებდენ, მაგრამ ეს ღაღადისი მუდამ ბუშმენური გამოდის იაპონიის მხრით და იაპონიის მთავრობა წამდა უწუმ შუშტს უჩვენებს ჩინეთს, როცა ამა თუ იმ კითხვის მის სასარგებლოთ გადაწყვეტაა საჭირო. ის ერთი პირით მეგობრობას ეფიცება მას, ხოლო მეორე პირით მუქარას უთვლის, რომ არ გაბედოს მისი მოთხოვნების უკუგდება და ჩინეთის გულს ხიშტს არ აშორებს. ჩინეთის დიპლომატები არც ისე ბრმები არიან, რომ იაპონიის დამოკიდებულების ნამდვილი ფასი არ იცოდენ. მათ ისიც კარგათ ესმით, თუ რას მოუტანს ჩინეთს ზემოხსენებული რკ. გზის გაყვანა და ამიტომაც არის, რომ წინააღმდეგი არიან მისი გაყვანის, მხოლოდ ეს კია, რომ ომის გამოწვევას ერიდებიან, რადგან მომზადება აკლიათ.

იაპონიის საქციელი მჭევრმეტყველურათ უმტკიცებს ჩინეთს, რომ მათი თანხმობით მოქმედება შეუძლებელია. როგორც კი ჩინეთმა თავისი ინტერების და უფლების დაცვა მოინდომა, იაპონიამ ხიშტიააყუდა მის წინააღმდეგ. იაპონიის საქციელი არც საკვირველია. ის არაფერს ზარალობს მით, რომ ჩინეთი საომრათ გაიწვიოს. იაპონიამ ისიც იცის, რომ ჩინეთის სამხედრო სამინისტროს იაპონიის სამინისტროსათვის არ შეუძლია განაცხადოს, რომ „ყოველ შემთხვევისათვის მზათ ვართ".

სამხრეთ მანჯურიას იაპონია საკუთრივ თავისათ თვლის და არც საკვირველია, რომ ჩინეთის სუვერენიტეტს ის ტყუილათ, გარეგნულათ ღიარებს, ხოლო საქმით კი მუდამ უარყოფს, რასაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს ანდუნ-მუკდენის რკინის გზის საკითხი. მიუხედავათ იმისა, რომ ჩინეთი წინააღმდეგია ამ გზის გაყვანის, იაპონია მაინც შეუდგა მის გადაკეთებას.

ანდუნ-მუკდენის რკინის გზა—ეს პირველი სილა არ არის ჩინეთის თავმოყვარეობისათვის. ჩინეთს ბევრი ასეთი სილა გააწნა იაპონიამ და ბევრს კიდევ უმზადებს. როგორც იტყობინება „ბრიუსელის დეპეშათა სააგენტო შორეულ აღმოსავლეთში", იაპონია ღრმათ დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან, ჩინეთთან ომი აუცილებლათ მოუხდება, ამიტომ უმჯობესია ადრე, ვიდრე გვიან. და აი, იაპონიაც ეძებს მიზეზს, რომ მოუმზადებელი ჩინეთი საომრათ გაიწვიოს და „ჭკუა ასწავლოს", როგორც იაპონიური გაზეთები აცხადებენ.

არც ჩინეთის დიპლომატებს და მართვა-

გამგეობის სათავეში მდგომთ სძინავთ. უკანასკნელმა დღეებმა მაინც განსაკუთრებით ნათლათ და აშკარათ დაანახვა მათ, რომ იაპონელების ღაღადისი „ნათესაობაზე“ და „ერთ მორწმუნეობაზე“ მხოლოდ სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი. ისინი კარგათ ხედავენ, რომ პოლიტიკაში „ნათესაობას ადგილი არ ქონია, რომ პოლიტიკა პოლიტიკურ-ეკონომიური ანგარიშებით განისაზღვრება და არა ნათესავურ-სარწმუნოებრივით. იაპონელებმა არა ერთხელ დაუმტკიცეს მათ ეს ცოცხალი მაგალითებით. როცა კითხვა საკუთარი ბაზრისა და ტერიტორიის დაპყრობა-გაფართოებას ეხება, იაპონია მუდამ ივიწყებს ნათესავურ-სარწმუნოებრივ გრძნობებს და თავის მტაცებლურ პოლიტიკას ათასგვარი ოინებით ასრულებს. ასეთია ყოველგვარი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბუნება, ასე იქცევა იაპონიაც.

ჩინეთის მოსწავლე ახალგაზრდობამ, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებშია გაბნეული, უკვე შეიგნეს, რომ საჭიროა ჩინეთის დამყაყებული ცხოვრების ძირიან-ბუდიანათ გარდაქმნა, თუ უნდათ, რომ ჩინეთის ნაციის თავმოყვარეობა წამდაუწუმ არ ითელებოდეს ფეხქვეშ. მათ უკვე შეიგნეს, რომ ხსნა მხოლოდ „ჩინეთის კედლების“ დარღვევაში და მთელი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნაშია. და აი, მათ უკვე მიაგნეს სწორ გზას მიზნის მისაღწევათ: დაარსეს სოციალისტური საზოგადოებები და მხნეთ ეწევიან განმაახლებელ მუშაობას, მარა ამაზე დაწვრილებით შემდეგ წერილში.

ლ. ბ.

შეუწყნარებელია

(მცირე შენიშვნა

გიორგი ალავერდოვი მართალია, ტომით სომეხია, მაგრამ ქართული ენა თავის საკუთარ სამშობლო ენაზე უკეთ იცის, მისი ოჯახობაც სახლში ქართულს ხმარობს და ბავშვებმაც სომხურის „ინჩიც“ არ იციან ბ. ალავერდოვმა თავის უფროსი ქალიშვილი ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლაში მიიყვანა: უნდოდა ქართულ განყოფილებაში მიეღებინებინა, მაგრამ სკოლის გამგე გახვახიშვილმა უარი უთხრა: „შენ სომეხი ხარ და შენ შვილს ქართველების განყოფილებაში ადგილი არა აქვსო“.

თფილისში ქალაქის პირველდაწყებითი სკოლები დაარსებულია მათთვის, ვისაც რომელ ენაზედ ეხერხება სწავლა; აქ გვარ-ტომობა კი არ არის საქმეში მისაღები, არამედ ენაა; ვის რა ენაზედ შეუძლია სწავლა, იმ ენაზედ უნდა ისწავლოს და შეიძინოს საჭირო ცოდნა. არიან ისეთი ქართველები, რომლებმაც მხოლოდ სომხური იციან, ნუ თუ სომხების განყოფილება მათთვის კარჩაკეტილი უნდა იყოს ისევე, როგორც სომეხ ალავერდოვს ქართულ განყოფილებაში ჩაუკეტეს კარი? ეს დიდი უსამართლობაა. საჭიროა ქალაქის სკოლების კომისიამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და სწავლის მსურველთ შესაფერი ადგილი მიეცეს ქალაქის პირველდაწყებითი სკოლაში. და მით თავიდან აიშოროს სწავლის მსურველთ ასეთი დაბრკოლებანი, მით უმეტეს, რომ წინათ ასე იყო და ეხლა რა მოუვიდათ?

თ.

კორესპონდენცია

—

დიდი ლიახვის ხეობა (გორის მაზრა). „ბევრჯელ თქმა სჯობს არა თქმასა, ბევრჯელ თქმითაც დაშავდებისო“, მე მომწონს ეს ზემოთ ნათქვამი. ეს იმას ნიშნავს: სიმართლე უნდა ითქვას, რათა ბოროტება დაითრგუნოს, მხოლოდ დამახინჯება კეთილი აზრისა აფუჭებს საქმეს. მაშ, ვთქვათ რაიმე სიმართლე, მაგრამ რა უნდა სთქვას კაცმა ამ „ჩვენს დროში“. ყველგან ქშენვა, ყველგან კვნესა, ყველგან გმინვა. სადღაა განმათავისუფლებელ დროის მოპოებული სითამამე, წელში გამართული სიარული, თვალებში ბრწყინვალება, ვაჟკაცური პირდაპირი მითქმა-მოთქმა და შეუპოვარი მიდრეკილება, ყველა ეს მოღუნდა, საშინელმა რეაქციამ ყველა კარგი შელახა, შთანთქა. მუშა გლეხი თავჩაღუნული, ბედმა-შემოურილი ძლივს მიდი-მოდის, ისევ ძველებურათ გულში იტრიალებს თავის ბედმას და დარდებს, ჩასცქერის მიწას, რომლის თავისუფლათ ხმარებას ვერ ეღირსა, რათა სიღატაკიდან განთავისუფლებულიყო და რომელმაც უნდა შთანთქას იგი ისევ შიშველი, როგორც დაიბადა. წინააღმდეგ ამისა გააქვთ განგაში და პარპართ სხვადასხვა ჯურის პატრონ-მატრონებს. თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი, ხელში მათრახით მიდი-მოდიან და კბილების ღრჭენით სთელავენ ყველას და ყოველივეს. რეაქციასაგან გათამამებულებმა ძველებურ სიმკაცრეს ერთი-ორათ უმატეს. მოხელემ და მემამულემ რაც უნდა მოისურვოს, უცბათ იქნება სისრულეში მოყვანილი. მაგალითები ბევრია. მხოლოდ სანიმუშოთ შემდეგიც კმარა.

მარშან ცხინვალის ბოქაულმა ცხინვალელი „პატრონების“ გულის მოსაგებათ მოისურვა ცხინვალის წყლის პირის ქუჩის შეკეთება. ქუჩა წყალმა გააფუჭა. ამ წყლით სარგებლობს სოფლის გლეხკაცობა და აბა ბიჭებო, სიჩქარით დაურბინეთ გლეხებს და გადაახდევინეთ ფული. მამასახლისი თავის გაწვრთნილი დარაჯებით გაქანდა და ორი საათის განმავლობაში ნიქოზელებს, ხვითელებს და ფხვენელებს გადაახდევინეს თერთმეტი თუმანი ფული. გაკეთებით არა გაკეთებულა-რა და სად წავიდა ეს ფული არ იცის ხალხმა. იჩივლა ხალხმა, მაგრამ პანღურ-ამოკრული დაბრუნდა. ხალხი გაიძახის: „ძალა აღმართსა ხნავს“, ისევ მოვიცადოთ, „მოსავალს მოცდა უნდაო“, ამ ნუგეშით გაუხდნენ.

გორის მაზრის უფროსათ ნამყოფი პაქრაძის განკარგულებით შინდისის მამასახლისი ალექსიძე დარაჯებით და ფალავანდიშვილებით მოულოდნელათ დაეცა სოფ. ეღქცეულს. ერთი დღის განმავლობაში ცამეტ კომლს გლეხს გადაახდევინა ოცდა ათი თუმანი ფული და სამოცი კოდი პური, ვითომ რაღაც „საპრიკაზო“ მამულის შემოსავალი. პური ალექსიძემ გადაიტანა სოფ. შინდისში და ფული წაიღო ფალავანდიშვილმა, როგორც ვითომ პატრონმა „პრიკაზის“ მამულისამ. ამის შემდეგ არ გასულა ორი კვირა, იმავე მამასახლისმა ალექსიძემ აბაშიძის და სუმბათოვის მოურავი ნემსაძეთი შეიარაღებულნი დაეცნენ ამავე სოფ. ეღქცეულს და სწრაფათ გადაახდევინეს იმავე ცამეტ კომლ გლეხს იმავე საპრიკაზო მამული, ახლა ვითომ აბაშიძის და სუმბათოვის საკუთრებათ იმდენივე ფული და პური, რაც წინა კვირაში წაიღეს. ამგვარათ ერთი მამულიდან ორმა სხვადასხვა პირმა წაიღო. გაძვალტყავებული ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ ვინ იყო ამათი პატრონი. თუ სთქვა ვინმემ სიმართლე, მაშინვე ხალხის ამაღელვებლათ მოგნათვლენ და ცივ ქვეყნებში გიკვრენ თავს. ეღქცეულელებმა იჩივლეს, მაგრამ ვინ გაუგონა სიმართლე, სულში იჩივლეთო, უპასუხეს. ძლიან ხშირათ შეიარაღებული მავრაზმელები ხალხს იწვევენ უსიამოვნებაზე და სცემენ მათ უსაბუთოთ. სადამდინ მიდის მათი თავხედობა კაცმა არ იცის, ყველა ისინი, ვინც ვითომ ხალხის მომხრეთ თავი მოჰქონდა, ეხლა თავში უჩაკუნებენ ხალხს, სთელავენ მათ პიროვნებას და უარაუდათაც ადგანან.

გლეხკაცების ზნეობრივ და მორალურ ტანჯვას მოუმატეთ ახლა წრევანდელი მოუსავლობა ჭირნახულისა, რომელიც საშინელმა გვალვამ გააფუჭა და დაინახავთ რა უნუგეშო მდგომარეობაშიც იქნება სოფლათ მშრომელი ხალხი. ხალხის გაჭირვება რეაქციონერებს ახარებს, ნიშნს უგებენ ხალხს, მაგრამ როდემდის იმხიარულებენ.

ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და ჩვენც გვწამს, რომ ეს დრო არც ისე შორსაა.

ლიახველი.

—

ჩოხატაური (გურია). წინათ აქ იყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო თავისი საკუთარი შენობით. 1905 წლის დასაწყისში, როგორც სხვაგან, ისე აქაც დახურეს. 1906 წელში შენობაში ყოფილმა ბოქაულმა ოკუნევმა თავისი კანცელარია გახსნა. შემდეგ შენობა გაიყიდა მესამედ ფასში—ას მანეთათ. ფული მიბარებული აქვს ერთ პირს. წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა ვიღაცეებმა დაიტაცეს, ავეჯეულობა ზოგი დაიმტვრა, ზოგიც ინახება.

— წინათ აქ არსებობდა რაღაც წიგნის მაღაზიის მზგავსი, მაგრამ ბ-ნი ნ. მეგრელიშვილი ვერ გაუძლვა ამ საქმეს უსახსრობის გამო, რის გამო დაიკეტა.

— ცუდ პირობებში იყო და დღესაც არის ჟურნალ-გაზეთების გამოწერის საქმე, რადგანაც კვირაში ფოსტა მხოლოდ ორხელ მოდის. ხელის მომწერლები იძულებულნი იყვნენ გამოეწერათ დღიური გაზეთები საჯავახომდის რკინის გზით, შემდეგ კერძო მეეტლებს მოჰქონდათ. გასულ წლებში აქ იწერდენ ოთხმოცზე მეტ გაზეთს, მარა რადგანაც ნივთიერათ უზრუნველყოფილი აგენტი ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმისთვის ვერ ვიშოვეთ, გაზეთები გზაში იკარგებოდა ხელის მომწერლები უკმაყოფილონი რჩებოდნენ. ამიტომ საქმე ისე უკუღმა წავიდა, რომ ხელის მომწერლების რიცხვი დღეს ოცზე ნაკლებია.

ამას გარდა გასულ წლების მაგალითებმა დაგვანახვა, რომ სოფლის სკოლების მასწავლებლები სამოსწავლო წლის პირველ ორ თვეში ცარიელები ისხდენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არსად არ იშოვებოდა გასაყიდი არც სახელმძღვანელოები და არც სხვა და სხვა სამოსწავლო ნივთები.

ყველა ამ დაბრკოლებების თავიდან აშორება შეეძლო ხეირიან საფუძველზე დაარსებულ წიგნის მაღაზიას... ეხლა კი როგორც, სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბ. სილ. თავართქილაძე ხსნის ასეთ მაღაზიას დ. ჩოხატაურში. ეს ფრიად სასიხარულოა. ჩვენ რა თქმა უნდა, ხელი უნდა შევუწყოთ ამ სიმპატიურ საქმეს.

ს. პ.

კორესპონდენტების საყურადღებოთ.

—

ჩვენს რედაქციას ხელმოუწერელი კორესპონდენციები მოსდის. ზოგზე კიდევ მარტო ფსევდონიმია. ასეთ წერილებს რედაქცია, რასაკვირველია, არ სტამბავს. ავტორები კი მეორეთ და მესამეთ გზავნიან იმავე წერილებს. საჭიროა იცოდნენ ასეთმა კორესპონდენტებმა, რომ ასეთი წერილები არას დროს არ დაიბეჭდება. რედაქციამ უეჭველათ უნდა იცოდეს კორესპონდენტის ვინაობა. ამიტომ კორესპონდენციაზე, ფსევდონიმთან ერთათ, ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი უნდა იყოს მოწერილი. ამასთან ერთათ, რედაქცია სთხოვს ყველა თავის კორესპონდენტებს მოგვაწოდონ პროვინციის სრული ქრონიკა რეგულიარულათ. წერილები მოკლეთ და გასაგებათ უნდა იყოს დაწერილი.

მუშათა შორის

—

ოჩემჩირე (სოხუმის ოლქი). რადგან რკინის გზისათვის შპალების მოთხოვნილება საზღვარ გარეთიდან ძალიან დიდია, ამიტომ აქ ხე-ტყის მასალაზე მუშაობამ იმატა. აქვე ამზადებენ ხე-ტყის სხვა და სხვა მასალებს და გზავნიან რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში. მუშა ხალხი ბლომათ მოაწყდა სხვადა სხვა კუთხიდან, უმთავრესად რაჭიდან; გაჩნდა ჩვეულებრივი მეტოქეობა მუშათა შორის, რამაც ხელფასი ძლიერ შეამცირა. ამ გარემოებით ისარგებლეს მოიჯარადრეებმა, დაიქირავებს მუშები, როგორც იტყვიან, ჩალის ფასათ: ზოგი 20—25 მანეთათ, ზოგს „აკორდათ“ მისცეს სამუშაო და შეუდგენ მათ ყვლეფას. რამოდენიმე თვე კიდეც იმუშავეს მუშებმა, მარა ნამუშევრის ხელ ფასი არავინ მისცა; ბოლოს მოთმინებიდან გამოსულნი მიცვივდნენ მოიჯარადრეს და ფანჯრები ჩაულეწეს; მოიჯარადრეთა შორის თავი ისახელა თავისი სისასტიკით ბ. ნესტორ პეტრიაშვილმა. მასთან მუშაობს 500 მუშა; გადის თითქმის ერთი წლიწადი მუშებს ამუშავებს და ანგარიშს კი არ უსწორებს, თითონ კი დიდებულათ ცხოვრობს. მუშებს საშუალება არა აქვთ მოშორდენ ხსენებულ პირს და თავს უშველონ; ასე იტანჯებიან მუშები და გამკითხავი კი არავინ არის; კარგი იქნება ვინმე ღვთისნიერი კაცი გამოჩნდებოდეს და რაიმე დახმარებას გაუწევდეს ამ გაძვალ-ტყავებულ ხალხს.

გამვლელი.

წერილი რედაქციის მიმართ

—

„ჩანგის“ 34-ში გ. ესაძე მითხოვს მე სამედიატორო სამართალში, რომ დავუმტკიცო ის ბრალდებები, რომელიც მოყვანილია ჩემს წერილში „ჩანგის“ 41-ში

თანახმა ვარ გავყვე მას სამედიატორო სასამართლოში, და ჩემს მხრით ვნიშნავ მედიატორებათ: ილ. მგელაძეს და სერ. თავდიშვილს

ნიკო.

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბ. ს. პ. სვიმონიძეს, რომლის რეჟისორობით, 16 აგვისტოს ს. აბედათში წარმოდგენილ იქნა „დამარცხებულნი“, რომლის შემოსავალი გადაეცა ადგილობრივ უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. შემოსავალი იყო 15 მ. აქედან დაიხარჯა 50 მ. დანარჩენი გადავეცით ბიბლიოთეკის გამგეს. მადლობას ვწირავთ აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს წარმოდგენის გამართვაში: ნ. გეგენავას ასულს, კ. ნარ—უშვილს და ბ. კალანდარაშვილს.

წარმოდგენის გამგენი: **ა. ანჯაფარიძე, ყ. ჩიქოვანი, ქალ. წონოვა** და **თ. ძიმისტარაშვილი**.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.

განცხადება

ექიმი
არდაზიანცი
განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის.

კბილის ექიმი
ს. ნ. მავროსოვიჩ-სანოვიჩი.
დაპლომბვის გაკეთება, ამოღება, უქიმობა და ხელოვნური კბილების ჩასმა „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—14

გამოცდილი მასწავლებლები
(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).
ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის**. ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხ-ჩინზე**.
აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან.
მსურველთ იყვანენ მთელ **ხარჯზედაც**.
თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც**.
ამ ეზოშივე **გამოცდილი მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწვდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს**.
ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).
მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—3)

მეორე კომერციული
სასწავლებელი
მიიღებიან 4 კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უეგზამენოთ მესამე კლასში. წლიური ფასი 80 მ. მიიღება თხოვნები.
დროებითი ადრესი: 1 თუმანოვის ქ, № 13
1—1

ახლად გაიხსნა საწყობი
გურია
გურული ნაწარმოებისა. იყიდება: ღომი, ფქვილი (სიმინდისა), ყველი—სულგუნი (გადაზელილი) თხილი და სხვა.
ადრესი: სალდათის ბაზარი—ყოფილი სემინარიის გვერდით № 6.
3—1

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში
1888
1908 წ.
საფაბრიკო საწყობის განყოფილება
ამიერ-კავკასიისთვის
თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.
იყიდება ნარდათ და ცალობით
დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბელი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.
ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო
№ 2. **გალოშების „პროვოდნიკისა“**
(24—6.—37).

„ხორაპანი“ მადათოვის კუნძულზე. სტამბის ტელეფონი № 539